დანართი N1

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა

I. შესავალი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით შემუშავებულ დოკუმენტს, სადაც განსაზღვრულია კონცეპტუალური ხედვა, პრიორიტეტული, სტრატეგიული მიმართულებები და დასახულია 2021 წელს გასატარებელი ღონისძიებები. პასუხისმგებელი სამსახურებისთვის დოკუმენტი წარმოადგენს გზამკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა შესაძლო სფეროსა და სივრცეში შშმ პირთა მონაწილეობის პროგრესული ზრდისთვის.

გეგმა ეფუძნება არსებული მდგომარეობის შესწავლას, ითვალისწინებს შშმ პირთა უფლებების გაეროს 2006 წლის კონვენციისა და 2020 წელს მიღებულ ,,შშმ პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის“ მოთხოვნებს პრინციპებს.

II. სამოქმედო გეგმის მიზანი

სამოქმედო გეგმის მიზანია ქალაქის ინკლუზიური განვითარება და მის ყოველდღიურ ცხოვრებაში შშმ პირთა სხვათა თანაბრად მონაწილეობის უზრუნველყოფა შესაბამისი შესაძლებლობების განვითარებით. კერძოდ, იმ ბარიერების აღმოფხვრით ან შემცირებით, რომელიც ხელს უშლის შშმ პირებს სხვათა თანაბრად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პროდუქტებისა და სერვისების გამოყენებასა და შექმნაში.

III. ხედვა და პრინციპები

სამოქმედო გეგმა ეყრდნობა გაეროს შშმ პირთა უფლებების 2006წ. კონვენციით განსაზღვრულ ინკლუზიის პრინციპებს. აღიარებს, რომ შშმ პირთათვის არათანაბარ საარსებო გარემოს, შეზღუდულ შესაძლებლობებს, განაპირობებს არა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არამედ საზოგადოების მიერ შექმნილი და/ან იგნორირებული სხვადასხვა ტიპის (მ.შ. ფიზიკური, სოციალური, საკომუნიკაციო) ბარიერები.

სერვისები და ინფორმაცია მისაწვდომი უნდა იყოს ყველა მაცხოვრებლის, რისთვისაც გამოყენებული იქნება გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის თანამედროვე მიდგომები.

სამოქმედო გეგმის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა შემდეგი მიმართულებებით:

1. სტრატეგიული მიმართულება - მუნიციპალური სერვისების, საზოგადოებრივი ობიექტების და გარემოს მისაწვდომობა;

მიმართულება გულისხმობს მუნიციპალურ სერვისებსა და სამსახურებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომისა

და მოხმარების ზრდის ხელშეწყობას, ასევე საზოგადოებრივი ობიექტების (დაწესებულებების, შენობების, სივრცეების) და გარემოს მისაწვდომობას.

2. სტრატეგიული მიმართულება-დამოუკიდებელი ცხოვრება, ინკლუზია და მონაწილეობა;.

3 .სტრატეგიული მიმართულება - თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მართვა, კოორდინაცია, მონიტორინგი, ანგარიშგება.

IV სტრატეგიული მიმართულებების პრიორიტეტული ამოცანები

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად საჭიროა, რომ მუდმივად, სისტემურად მიმდინარეობდეს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კონკრეტული, შედეგების მისაღებად განისაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტული ამოცანები:

კერძო ბიზნესების ცნობიერების გაზრდა, მათ პროდუქტებსა და სერვისებზე შშმ პირთა წვდომის (როგორც ფიზიკურ, ასევე დისტანციურ) სარგებლიანობასთან დაკავშირებით;

ხარისხიანი და მიზანზე ორიენტირებული სკოლამდელი განათლების მისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის მომსახურებებზე წვდომა;

საზოგადოებრივი სივრცეების, ობიექტების და სერვისების გონივრული მისადაგება, მისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გაზრდა;

ინკლუზიის საკითხების მართვა, კოორდინაცია, მონიტორინგი და ანგარიშგება.

სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განხორციელებას ექნება სოციალური და ეკონომიკური სარგებელი იმით, რომ:

გაიზრდება მოქალაქეთა სოციალური ფუნქციონირების ხარისხი, საზოგადოებრივი სერვისებისა და ობიექტების მისაწვდომობა და გამოყენება;

გაიზრდება მათი დამოუკიდებლობის ხარისხი, სოციალური აქტიურობა და ჩართულობა;

შემცირდება დისკრიმინაცია, გარიყულობა და მოწყვლადობა;

გაუმჯობესდება ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლების ხარისხი და კეთილდღეობა;

<table>
<tr><td colspan="4">ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა<br>ლოგიკური ჩარჩო</td></tr>
<tr><td>მიზანი 1.</td><td colspan="3">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.1.</td><td colspan="3">შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება.</td></tr>
<tr><td></td><td>ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:<br>„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერებას ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ადგილობრივ დონეზე.</td><td colspan="2">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:<br>შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების განხორციელება დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.1.</td><td colspan="3">მუნიციპალური სამსახურების თანამშრომელთა ტრენინგი, შშმპ უფლებების თაობაზე, ინკლუზიის მნიშვნელობაზე, მათთან სწორი კომუნიკაციის ფორმებზე და საქმიანობაში გათვალისწინების საჭიროებაზე, კერძოდ სამშენებლო ნებართვების გამცემი და ინსპექტირების განმახორციელებელი კადრების ტრენინგები მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მიხედვით.</td></tr>
<tr><td></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>გადამზადებულია 6 საჯარომოხელე.<br>(გათვალისწინებულია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარომო ხელეთა პროფესიული განვითარების 2021 წლის გეგმაში)</td><td>შესრულებ ი ს ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>2021 წლის მე-4 კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td>2000.00 ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში</td><td></td></tr>
<tr><td></td><td>პარტნიორი უწყება:<br>სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები</td><td colspan="2">პასუხისმგებელი სამსახური:<br>მერიის აპარატი (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება)</td></tr>
</table>

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აქტივობა 1.1.2 | მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების იდენტიფიცირების დაწყება, რომელიც შესაძლებელია დაექვემდებაროს ადაპტირებას | | | |
| | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**<br>იდენტიფიცირებულია სულ მცირე 2 შენობა | შესრულების ვადა | დაფინანსების წყარო | |
| | | 2021 წლის მე-4 კვარტალი | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | სხვა |
| | | | მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი | |
| | **პასუხისმგებელი სამსახური:**<br>მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტრანსპორტის სამსახური | | | |
| აქტივობა 1.1.3 | მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში (ტროტუარების, გადასასვლელების, გაჩერებების, მისასვლელების, სკვერების რეაბილიტაციის-მოწყობის სამუშაოები) ინკლუზიური საჭიროებების გათვალისწინება | | | |
| | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**<br>მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ია ინფრასტრუქტურულ პროექტები: | შესრულების ვადა | დაფინანსების წყარო | |
| | 1. ქ. რუსთავში კონსტანტინე ლესელიძის ქ. N28 საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ ტროტუარის მოწყობა.<br>პანდუსების რაოდენობა - 15;<br><br>2. ქ. რუსთავში, ამირანფანცულაიას ქუჩაზე (მე-18 მ/რ) ტროტუარების, მე-19 მ/რ N11- თან ტროტუარისა და გზის, მე-12 მ/რ და მე-16 მ/რ-ს შორის არსებულ ქუჩაზე | 2021 წლის მე-4 კვარტალი | მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი | სხვა |
| | | | სამუშაოების ღირებულება - 77238.00 ლარი<br><br>სახელშეკრულებო ღირებულება - 577775.21 ლარი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პარკინგების, ტროტუარებისა და გაზონების, N18 საბავშვო ბაღის მიმდებარედ ტროტუარების მოწყობა. პანდუსების რაოდენობა - 42;<br><br>3. ქალაქ რუსთავში რუსთაველის ქუჩის ფასადების(ტროტუარებით),მერიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (ტროტუარები) და ჭავჭავაძის ქუჩის ტროტუარების მოწყობა. პანდუსების რაოდენობა - 45;<br><br>4. რჩეულიშვილის შიდა კვარტალური გზების, რჩეულიშვილის 2, 4, 6, 2ა, 4ა და 6ა;8,8ა,10,10ა,10ბ,12,14,16; ჯავახიშვილის ქუჩის მიმდებარედ 1, 3, 5, 7, 3ა, 5ა, ლევ ტოლსტოის ქუჩის მიმდებარედ 1, 3, 5, 7, 7ა; ბერიტაშვილის ქუჩის მიმდებარედ 2, 4, 6, 8, 6ა ა/ბეტონის საფარის და ტროტუარების რეაბილიტაცია. პანდუსების რაოდენობა - 30;<br><br>5. ქ. რუსთავში ჟ. შარტავას გამზირზე N12 ბინის მიმდებარედ ლიტერატურული სკვერის, მესხიშვილის პირველი გასასვლელის N7-ის მიმდებარედ სკვერისა და ლეონიძის N28-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა. პანდუსების რაოდენობა - 4;<br><br>6. მე-19 მკრ-ს N9 კორპუსის უკან მოსასვენებელი სკვერის მოწყობა. პანდუსების რაოდენობა - 1;<br><br>7. 21 მიკრორაიონის N11 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობა. პანდუსების რაოდენობა - 2; | | სახელშეკრულებო ღირებულება - 2399999.00 ლარი<br><br>პროექტის ღირებულება - 1732122.00 ლარი<br><br>სამუშაოების ღირებულება - 195288.12 ლარი<br><br>პროექტის ღირებულება - 30000.00 ლარი<br><br>პროექტის ღირებულება - 50000.00 ლარი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 8. შარტავას N7 წინ შემეცნებითი ფანჩატურის მოწყობა.<br>პანდუსების რაოდენობა - 1;<br><br>9. 21-ე მკრ-ში N21 კორპუსის მიმდებარედ სკვერის მოწყობა.<br>პანდუსების რაოდენობა - 4.<br><br>10. მე-14 მკრ N 44, N45, N46, N47, N48 კორპუსებთან მწვანე ავტოსადგომის მოწყობა.<br>პანდუსების რაოდენობა - 2.<br><br>11. მე-20 მკ/რ N 15-თან სკვერის მოწყობა.<br>პანდუსების რაოდენობა - 1.<br><br>12. მე-19 მკ/რ N 12-თან სკვერის მოწყობა.<br>პანდუსების რაოდენობა - 1.<br><br>13. მე-20 მკ/რ N 9-თან სკვერის მოწყობა.<br>პანდუსების რაოდენობა - 1.<br><br>14. ქ. რუსთავში თეატრის უკან მდებარე სკვერის რეაბილიტაცია.<br>პანდუსების რაოდენობა - 9.<br><br>15. ქ. რუსთავში ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია.<br>პანდუსების რაოდენობა - 22.<br><br>16. ქ. რუსთავში N22 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.<br>პანდუსების რაოდენობა - 2. | | საპროექტო ღირებულება ღირებულება - 30000.00 ლარი<br><br>სახელშეკრულებო ღირებულება - 339800.00 ლარი<br><br>პროექტის ღირებულება - 70000.00 ლარი<br><br>პროექტის ღირებულება - 121200.00 ლარი<br><br>პროექტის ღირებულება - 195900.00 ლარი<br><br>პროექტის ღირებულება - 56900.00 ლარი<br><br>სახელშეკრულებო ღირებულება - 1673572.00 ლარი<br><br>სახელშეკრულებო ღირებულება - 1654439.00 ლარი<br><br>სახელშეკრულებო ღირებულება - 124999.00 ლარი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 17. ქ. რუსთავში სარაჯიშვილის ქუჩის N10-ის ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.<br>პანდუსების რაოდენობა - 1; ლიფტი - 1.<br><br>18. 16 მკრ-ის N7 კორპუსთან მინი საფეხბურთო-საკალათბურთო მოედნის მოწყობა.<br>პანდუსების რაოდენობა - 2.<br><br>19. 12 მ/რ N35 კორპუსთან ბავშვთა გასართობი კუთხის მოწყობა.<br>პანდუსების რაოდენობა - 1.<br><br>20. ახმეტელის ქ. N4 მ/ტ საბავშვო ატრაქციონების მოწყობა. პანდუსების რაოდენობა - 1. | | პროექტის ღირებულება - 1098000.00 ლარი<br><br>პროექტის ღირებულება - 70000.00 ლარი<br><br>პროექტის ღირებულება - 40000.00 ლარი<br><br>პროექტის ღირებულება - 40000.00 ლარი | |
| | **პარტნიორი უწყება:**<br>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | **პასუხისმგებელი სამსახური:**<br>მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტრანსპორტის სამსახური | | |

<table>
<tr><td>აქტივობა 1.1.4</td><td colspan="3">შშმ პირებისთვის ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი, განახლებული ავტოპარკი.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br><br>განახლებულია (ადაპტირებულია) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოძრავი M3 კატეგორიის ავტობუსები.</td><td>შესრულების ვადა</td><td></td></tr>
<tr><td>2021 წლის მე-4</td><td>საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td>ღირებულება:<br>340 000 ლარი</td><td></td></tr>
<tr><td></td><td>პარტნიორი უწყება:<br>საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი</td><td colspan="2">პასუხისმგებელი სამსახური:<br>შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.5</td><td colspan="3">საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სამხედრო კორპუსთან აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობის მიმართულებით</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>გაცემულია აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობის ნებართვა.</td><td>შესრულების ვადა</td><td></td></tr>
<tr><td>2021 წლის მე-3</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">პასუხისმგებელი სამსახური:<br>მერიის არქიტექტურისა და მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის სამსახური</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>ამოცანა 1.2.</td><td colspan="4">სკოლამდელი აღზრდა და ზოგადი განათლების ხელშეწყობა</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.2.1</td><td colspan="4">შშმ ბავშვთა აღზრდა-განვითარებისთვის საგანმანათლებლო დამხმარე სამუშაო მასალებისა და რესურსით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების უზრუნველყოფა</td></tr>
<tr><td rowspan="4"></td><td rowspan="4">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br><br>ყველა საბავშვო ბაღის საჭიროებები შესწავლილია და ბაღების მიერ შესყიდვებისას გათვალისწინებულია</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2021 წლის მე-4 კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td>მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი 20 000.00 ლარი (სასწავლო მეთოდური მასალების შესყიდვა)</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი სამსახური:<br>ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>ამოცანა 1.3.</td><td colspan="4">ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის მომსახურებებზე წვდომა</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.3.1</td><td colspan="4">აუტიზმის პროგრამის დაფინანსება</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br><br>პროგრამის განხორციელების წესი დამტკიცებულია და<br>მომლოდინეთა რიგში ბავშვის დაყოვნება არ ხორციელდება.</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2021 წლის<br><br>მე-4 კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td>მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი<br>231 000.00ლარი</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი სამსახური:<br>მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.3.2</td><td colspan="4">შშმ პირთა რეაბილიტაცია და სოციალური ადაპტაცია</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრის“ მიერ 150 ბენეფიციარისთვის გაწეულია პროგრამებით გათვალისწინებული შესაბამისი მომსახურება.</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2021 წლის<br>მე-4<br>კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td>მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი<br>525400.00 ლარი</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი სამსახური:<br>ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრი“</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>ამოცანა 1.4.</td><td colspan="4">საზოგადოებაში შშმ პირთა შესახებ ცნობიერების გაზრდა, პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შშმ პირთა ინფორმირება</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.4.1.</td><td colspan="4">ბიზნეს სუბიექტებისთვის მათი ობიექტების მისაწვდომობის და უნივერსალური დიზაინის სარგებლიანობის პრომოცია (მტკიცებულების კონტენტის შექმნა, რეკლამირება, ინფორმირება)</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br><br>ბიზნეს სექტორის წახალისების მიზნით საინფორმაციო ხასიათის კამპანიის წარმოება<br><br>(მომზადებულია ადაპტირებული ბიზნეს-გარემოს შესახებ საინფორმაციო მასალა (არანაკლებ 1ვიდეორგოლი)</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2021 წლის მე-4 კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td>მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი</td><td></td></tr>
<tr><td></td><td>პარტნიორი უწყება:<br>ბიზნეს სექტორი</td><td colspan="3">პასუხისმგებელი სამსახური:<br>მერიის აპარატი (საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილება);<br>მერიის ქონების მართვის და ეკონომიკური განვითარების სამსახური (ეკონომიკური განვითარების განყოფილება)</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.4.2.</td><td colspan="4">შშმპ საკითხების, მერიის პროგრამების, სერვისების და მოცემული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების, ასევე მათი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მერიის ვებ-გვერდზე განთავსება,</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>პროგრამების, სერვისების და გეგმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მერიის ვებ-გვერდზე განთავსებულია და მუდმივად ახლდება</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2021 წლის მე-4 კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td>მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი</td><td></td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td colspan="3">პასუხისმგებელი სამსახური:<br>მერიის აპარატი (საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილება)</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.5.</td><td colspan="3">მართვის, კოორდინაციის, მონიტორინგის და შეფასების განხორციელება</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.5.1</td><td colspan="3">გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ პასუხისმგებელი სამსახურები ამზადებენ და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აწვდიან პერიოდულ ანგარიშებს</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>გეგმის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებული და გამოქვეყნებულია</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2021 წლის მე-4 კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td>მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">პასუხისმგებელი სამსახური:<br>მერიის აპარატი (საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილება)</td></tr>
</table>